





პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის სამსახური

# რა უნდა ვიცოდეთ ბიომეტრიკულ მონაცემთა დამუშავების შესახებ



ბიომეტრიულია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა. თავის მხრივ, ბიომეტრიულ მახასიათებლები არის მუდმივი, უნიკალური, არატრანსფორმირებადი, შესაცვლელად რთული და მწელად წარმოებადი ან გაყალბებადი ინფორმაცია.

მაგალითად:

- **ფიზიკური მახასიათებლებია:** თითის ანაბეჭდი, სახის გამოსახულება, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი, დაქტილოსკოპიური მონაცემები, სიმაღლე, წონა და სხვა;
- **ფიზიოლოგიური მახასიათებლებია:** არტერიული წნევა, გულისცემა და სხვა;
- **ქცევის მახასიათებლებია:** ხელწერა, ხმის რეზოლუცია, სიარულის მანერა და სხვა.


ბიომეტრიული მონაცემის ცნება შემდეგ სამ კომპონენტს მოიცავს<sup>1</sup>:

- **მონაცემის ბუნება** - მონაცემი დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევით მახასიათებელთან;
- **დამუშავების საშუალება და მეთოდი** - მონაცემი მოპოვებულია სპეციალური ტექნიკური დამუშავების შედეგად;
- **დამუშავების მიზანი** - მონაცემი გამოყენებულია ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირებისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ ბიომეტრიული მონაცემი **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს** წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალებას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის ნიშნით, როგორცაა, მაგ., რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნასამართლობა და სხვა.

პრაქტიკაში ბიომეტრიული მონაცემები ძირითადად გამოიყენება სახელმწიფო საზღვრების კონტროლის, მიგრაციის მართვის, პასპორტების დამზადების,

<sup>1</sup> პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/679 რეგულაცია, მე-4(14) და მე-9 მუხლები. ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/fmv95>>.





საიდუმლო ინფორმაციის დაცვის, ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საგამოძიებო და სხვა მიზნებისთვის.

პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით კი განასხვავებენ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების ორ მეთოდს: **ვერიფიკაციასა და იდენტიფიკაციას.**

**იდენტიფიკაციის მეთოდი** წარმოადგენს ბიომეტრიული მონაცემების ავთენტურობის შემოწმებას მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან და გულისხმობს ბიომეტრიული სისტემის მიერ იმის დადგენას, ეკუთვნის თუ არა კონკრეტული ბიომეტრიული მონაცემი (თითის ანაბეჭდი, ხმა, ხელწერა, ა.შ.) კონკრეტულ პიროვნებას. შესაბამისად, ამ მეთოდით სისტემა ადარებს კონკრეტულ ბიომეტრიულ მონაცემს ბაზაში არსებულ ყველა ნიმუშს.


**ვერიფიკაციის მეთოდი** წარმოადგენს ბიომეტრიული მონაცემების ავთენტურობის შემოწმებას მონაცემთა ბაზის გამოყენების გარეშე. კერძოდ, ბიომეტრიული მონაცემების შემცველ მატარებელზე დატანილ ბიომეტრიულ მონაცემს სისტემა ადარებს ბაზაში არსებულ, კონკრეტულად ამ ბარათის მფლობელის ბიომეტრიულ მონაცემს. ვერიფიკაციის დროს, პიროვნება თავად ფლობს საკუთარი ბიომეტრიული მონაცემების შემცველ მოწყობილობას, რაც ამცირებს მასზე არავტორიზებულ წვდომის საფრთხეს.



### **ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება**

ბიომეტრიულ მონაცემთა სპეციფიკიდან გამომდინარე, კანონი მკაცრად განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც შესაძლებელია მათი დამუშავება. კერძოდ, ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- აუცილებელია საქმიანობის განხორციელების, უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნებისთვის და ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან;
- კანონით დადგენილი წესით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის, სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი პირის იდენტიფიკაციის, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო დაცვის განხორციელების, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო



სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

- კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.


იმისათვის, რომ ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება იყოს **კანონიერი**, უნდა არსებობდეს მათი დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, მკაცრად განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი და დაცული უნდა იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების პრინციპები.

*მაგალითად, დამსაქმებლის მიერ თანამშრომელთა შენობაში შესვლა-გასვლის კონტროლის (აღრიცხვის) მიზნით თითის ანაბეჭდის გამოყენება ცალსახად არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს (აღნიშნულის ალტერნატივად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბარათე სისტემა). თუმცა, თითის ანაბეჭდის გამოყენებით ფიზიკური შეღწევა შენობის კონკრეტულ ნაწილში, სადაც ინახება საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, შესაძლოა ჩაითვალოს მიზნის მიღწევის ადეკვატურ საშუალებად.*



### ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების თანმდევი ვალდებულებები

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა დამუშავებამდე წერილობით განსაზღვროს ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების მიზანი და მოცულობა, მათი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, აგრეთვე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები.
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან მიიღონ მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამისი **ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები** (მათ შორის, მონაცემთა ფსევდონიმიზაცია, მონაცემებზე წვდომის აღრიცხვა, ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.



- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის) აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას კი უზრუნველყონ მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის) აღრიცხვა;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება, თუ იგი ამუშავებს დიდი რაოდენობით (საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 3 პროცენტისა, რომელიც გამოითვლება მოსახლეობის აღწერის ბოლო შედეგების მიხედვით) მონაცემთა სუბიექტების ბიომეტრიულ მონაცემებს.
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით (საქართველოს მოსახლეობის არაუმეტეს 1 პროცენტის ბიომეტრიულ მონაცემებს, რომელიც გამოითვლება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბოლო შედეგების მიხედვით) მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ვალდებული არიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

### მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტები სარგებლობენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული შემდეგი უფლებებით:

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორების, განახლებისა ან/და შევსების მოთხოვნის უფლება;
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;
- მონაცემთა დაბლოკვის უფლება;
- მონაცემთა გადატანის უფლება;





- ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები;
- თანხმობის გამოთხოვის უფლება;
- გასაჩივრების უფლება.

ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების კანონით დადგენილი მოთხოვნების ან მონაცემთა სუბიექტის ზემოთ აღნიშნული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს:

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჩნაძის ქუჩა №7; ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა №48;

ტელეფონი: 032 2 42 10 00;

ელექტრონული ფოსტის მისამართი - [office@pdps.ge](mailto:office@pdps.ge);

ვებგვერდი: [www.personaldata.ge](http://www.personaldata.ge).

